

მეცხოველეობა-მესაქონლეობა



სახელწოდება -მეცხოველეობა (მესაქონლეობა)

სარეგისტრაციო ნომერი: 08110-3

მიზანი

პროგრამის მიზანია მოამზადოს მეოთხე საფეხურის სპეციალისტი რომელიც შეძლებს: ფერმის სამუშაოს ორგანიზებას, მუშაობის დროსგარემოს, შრომის უსაფრთხოების, სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას, საქონლის სწორად მოვლა-შენახვას, საკვებწარმოებასა და კვებასთან დაკავშირებული საქმიანობის შესრულებას, სადგომის მოწყობას, პირუტყვის მოშენებას და აღწარმოებას, მათი დაავადებათა პრევენციის ღონისძიებათა შესრულებას, ხარისხიანი და მომხმარებლისთვის უვნებელი რძის მიღებას (წარმოებას) და მის პირველად დამუშავებას.

პროგრამის მიზანია მოამზადოს მაღალკვალიფიციური სპეციალისტები, რომლებიც აღჭურვილი იქნებიან პროფესიული და ზოგადი/ტრანსფერული უნარებით.

კურსდამთავრებულთა კარიერული შესაძლებლობები

მესაქონლეს შეუძლია დასაქმდეს სახელმწიფო და კერძოფერმერულ მეურნეობებში, რომელთა საქმიანობა დაკავშირებულია მსხვილფეხა რქოსან პირუტყვთან. კერძოდ:

- მეცხოველეობის მსხვილ მექანიზებულ მეურნეობებში/კომპლექსებში;
 - საშუალო და მსხვილ ფერმერულ მეურნეობებში;
 - უნივერსიტეტების, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების, კერძო და საზოგადოებრივი კოლეჯების, ფერმერთა სადემონსტრაციო-საკონსულტაციო ცენტრების მეცხოველეობის ფერმებში;
 - სამომშენებლო, სანაშენე მეურნეობებსა და ფერმებში, აგრეთვე სასოფლო-სამეურნეო ცხოველთა ხელოვნური განაყოფიერების სადგურებში/ცენტრებში.
- შესაძლოა იყოს თვითდასაქმებული.

პროფესიული სპეციალიზაცია/სპეციალიზაციები - მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია მეცხოველეობაში (მესაქონლეობაში)

დაშვების წინაპირობა/წინაპირობები: საბაზო განათლება

სტრუქტურა

სავალდებულო ზოგადი მოდულები		სავალდებულო პროფესიული მოდულები		არჩევითი პროფესიული მოდულები	
დასახელება	კრედიტი	დასახელება	კრედიტი	დასახელება	კრედიტი
კომუნიკაცია	3	გაცნობითი პრაქტიკა-მეცხოველე (მესაქონლისათვის)	1.5	ცხოველის დაკვლა	3
რაოდენობრივი წიგნიერება	2	სამუშაოს ორგანიზება	6	დარგობრივი ინგლისური მეცხოველე (მესაქონლისათვის) (B1)	5
საინფორმაციო ტექნოლოგიები	4	საქონლის ფერმის ტექნიკა-დანადგარების მართვა	3		
მეწარმეობა	5	პირუტყვის სადგომის მოწყობა	2		
პიროვნული და ინტერპერსონალური უნარები	1	საქონლის დაავადებათა პრევენცია	3		
უცხოური ენა	5	საკვებწარმოება საქონლისათვის	4		
ქართული ენა A2	15	მხსვილფეხა რქოსანი პირუტყვის კვება	5		

ქართული ენა B1	15	რძის მიღება	4		
სამოქალაქო განათლება	2	მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის მოშენება და აღწარმოება	6		
		პირუტყვის მომზადება დასაკლავად	2		
		დაავადებული პირუტყვის მოვლა	2		
სულ:	52	სულ:	38.5	სულ:	8

სწავლის შედეგები პროფესიული სპეციალიზაციის/სპეციალიზაციების გათვალისწინებით პროგრამის დასრულების შემდეგ პირს შეუძლია:

- ✓ შრომის უსაფრთხოების პირობების განსაზღვრა და დაცვა;
- ✓ გარემოს დაცვა;
- ✓ ხანძარსა და სხვა საფრთხეების წესების დაცვა;
- ✓ სადგომისა და მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის რეგისტრაცია;
- ✓ ფერმის დამხმარე პერსონალის საჭიროების განსაზღვრა;
- ✓ პირველადი დოკუმენტაციის წარმოება;
- ✓ ფერმაში სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვა;
- ✓ უხარისხო საკვების გამოვლენა;
- ✓ მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ჯიშების იდენტიფიცირება;
- ✓ მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ზრდა-განვითარების თავისებურებების იდენტიფიცირება;
- ✓ მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ხელოვნური განაყოფიერების უზრუნველყოფა;
- ✓ მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ხელზე დაგრილება;
- ✓ მაკე ცხოველის მოვლა-შენახვა;

- ✓ ცხოველის სადგომის საჭიროებათა იდენტიფიცირება;
- ✓ დაავადებათა რისკების განსაზღვრა;
- ✓ დაავადებაზე საექვო ცხოველის გამოვლენა;
- ✓ დაავადებული ცხოველის მოვლა-დამუშავება;
- ✓ ცხოველის კვების საჭიროების განსაზღვრა;
- ✓ მხსვილფეხა რქოსანი პირუტყვისათვის საკვების კვებისწინა მომზადება;
- ✓ ზრდასრული მხსვილფეხა რქოსანი პირუტყვის /სანაშენე მოზარდის კვება;
- ✓ სამოვრის გამოყენების პირობების დაცვა;
- ✓ სადგომის პარამეტრების განსაზღვრა;
- ✓ მხსვილფეხა რქოსანი პირუტყვის ვარგისი საკვების იდენტიფიცირება;
- ✓ მდელიოდ საკვებწარმოება;
- ✓ მხსვილფეხა რქოსანი პირუტყვის საკვების დამზადების ტექნოლოგიის განსაზღვრა;
- ✓ მხსვილფეხა რქოსანი პირუტყვის საკვების დასაწყობება - შენახვა;
- ✓ მხსვილფეხა რქოსანი პირუტყვის რძის ხარისხის განსაზღვრა;
- ✓ მხსვილფეხა რქოსანი პირუტყვის წველის უზრუნველყოფა;
- ✓ რძის პირველადი დამუშავება- შენახვა;
- ✓ მხსვილფეხა რქოსანი პირუტყვის სადგომის მოწყობილობა-დანადგარების, ინვენტარის, ტექნიკის გამოყენება;
- ✓ დასაკლავი პირუტყვის ტრანსპორტირება;
- ✓ პირუტყვის დაკვლისწინა მომზადება.

ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავება

საგანმანათლებლო დაწესებულება ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შეიმუშავებს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას.

შემუშავებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა შესაძლებელია ითვალისწინებდეს არჩევითი სტატუსის მოდულებს ამავე პროფესიული პროგრამის ზოგადი და პროფესიული მოდულების კრედიტთა საერთო მოცულობის არაუმეტეს 20 %-სა.

ერთი და იმავე პროფესიულ სპეციალიზაციაზე შესაძლებელია შემუშავდეს ორი სახის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, რომელთაგან ერთი განსაზღვრავს სავალდებულო პროფესიული მოდულებით გათვალისწინებულ 50% -ს ან მეტი სწავლის შედეგების რეალურ სამუშაო გარემოში მიღწევას.

სწავლის შედეგების მიღწევის დადასტურება და კრედიტის მინიჭება

კრედიტი მიენიჭება მიღწეული სწავლის შედეგის დადასტურებისას.

სწავლის შედეგის მიღწევის დადასტურება შესაძლებელია შემდეგ შემთხვევებშიც:

- ა) წინმსწრები ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების აღიარებით (ჩათვლა);
- ბ) არაფორმალური განათლების გზით მიღწეული სწავლის შედეგების დადასტურება განათლების და მეცნიერების მინისტროს მიერ დადგენილი წესით;
- გ) სწავლის შედეგების დადასტურება შეფასების გზით.

არსებობს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება.

განმავითარებელი შეფასება შესაძლოა მოხდეს როგორც ქულების, ასევე ჩათვლის პრინციპების გამოყენებით. განმსაზღვრელი შეფასება ითვალისწინებს მხოლოდ ჩათვლის პრინციპებზე დაფუძნებული (კომპეტენციების დადასტურებაზე დაფუძნებული) სისტემის გამოყენებას და უშვებს შემდეგი ორი ტიპის შეფასებას:

- ა) სწავლის შედეგი დადასტურდა;
- ბ) სწავლის შედეგი ვერ დადასტურდა.

განმსაზღვრელი შეფასებისას უარყოფითი შედეგის შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს პროგრამის დასრულებამდე მოითხოვოს სწავლის შედეგების მიღწევის დამატებითი შეფასება. შეფასების მეთოდი/მეთოდები რეკომენდაციის სახით მოცემულია მოდულებში.

პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭება

პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭება სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯის „აისი“ პრეროგატივაა. პროფესიული კვალიფიკაციის მოსაპოვებლად პროფესიულმა სტუდენტმა უნდა დააგროვოს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრული მოდულებით გათვალისწინებული კრედიტები. კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალური

ადმინისტრაციულ - სამართლებრივი აქტით შექმნილი კვალიფიკაციის მინიჭებელი კომისია პროფესიულ სტუდენტთა მიერ სასწავლო მოდულებში მიღებული შედეგების საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას პროფესიული სტუდენტებისთვის კვალიფიკაციის მინიჭების ან მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ, რის თაობაზე დგება კომისიის ოქმი.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისათვის, რომელშიც განსაზღვრულია 50% ან მეტი სწავლის შედეგების რეალურ სამუშაო გარემოში მიღწევა, კვალიფიკაციის მინიჭების დამატებითი პირობაა საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარება.

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) პროფესიული სტუდენტების სწავლებისათვის

შეზღუდული შესაძლებლობისა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართულობის მიზნით ასეთი პირები მოდულებზე დაიშვებიან მოდულის წინაპირობის/წინაპირობების დაძლევის გარეშე. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული კრედიტები პირს ენიჭება მხოლოდ შესაბამისი სწავლის შედეგების დადასტურებისას, ხოლო კვალიფიკაცია ენიჭება მე-11 პუნქტით გათვალისწინებული წესით.

დოკუმენტის შემუშავების სამართლებრივი საფუძვლები

- საქართველოს კანონი - „პროფესიული განათლების შესახებ“
- ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩო
- პროფესიული სტანდარტები: მეცხოველე, მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ფერმის სპეციალისტი

პროგრამის მოცულობა: 98,5 კრედიტი